EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მესამე სექცია

ლაკატუსი შვეიცარიის წინააღმდეგ

(განაცხადი N 14065/15)

სამართლებრივი შეჯამება

არაოფიციალური თარგმანი

მომზადებულია თბილისის საკასაციო სასამართლოს

თავმჯდომარის ბიუროს და ანალიტიკური სამსახურის მიერ.

სტრასბურგი

19 იანვარი, 2021 წელი

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ლაკატუსი შვეიცარიის წინააღმდეგ (Lacatus v. Switzerland)

განაცხადი 14065/15
გადაწყვეტილება, 19.01.2021 წელი
მე-3 სექცია

მე-8 მუხლი

მე-8 მუხლის პირველი პუნქტი

პირადი ცხოვრების პატივისცემა

ღარიბი და მოწყვლადი ბოშა ქალისთვის დაკისრებული ჯარიმა მოწყალების არაშემაწუხებელი (პასიური) ფორმით თხოვნისთვის, და გადაუხდელობით გამოწვეული დაპატიმრება 5 დღის ვადით: დარღვევა.

ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი, რომელიც მიეკუთვნება ბოშების საზოგადოებას, ცნობილი იქნა დამნაშავედ მოწყალების თხოვნისთვის და მას დაეკისრა ჯარიმის გადახდა 500 შვეიცარიული ფრანკის ოდენობით, რაც, გადაუხდელობის შემთხვევაში, შეიცვლებოდა 5 დღიანი საპატიმრო სასჯელით. რამდენადაც განმცხადებელი მოკლებული იყო ჯარიმის გადახდის შესაძლებლობას, მან მოიხადა საპატიმრო სასჯელი.

სამართლებრივი შეფასება

მე-8 მუხლი:

(a) *მისადაგება* - ევროპულ სასამართლოს მანამდე არასდროს უმსჯელია იმ საკითხზე, თუ რამდენად შეეძლო მოწყალების თხოვნისთვის დასჯილ ადამიანს მოეთხოვა მე-8 მუხლით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობა.

ადამიანის ღირსება - ცნება, რომელიც იყო ცენტრალური მნიშვნელობისაა კონვენციის სულისკვეთებისთვის - უკიდურესად დაკნინდებოდა, თუკი შესაბამის პირს არ ექნებოდა არსებობისთვის საკმარისი სახსრები. ადამიანებმა, რომლებიც მოწყალებას ითხოვდნენ, მიიღეს ცხოვრების გარკვეული წესი, ცდილობდნენ რა გამკლავებოდნენ დამამცირებელ და არასტაბილურ მდგომარეობას. ამდენად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თითოეული საქმის ცალკეული გარემოებები და, განსაკუთრებით, ადამიანის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობით შექმნილი რეალობა.

განმცხადებელი იყო უკიდურესად ღარიბი, წერა-კითხვის არმცოდნე და მას არ ჰქონდა სამსახური. იგი არ იღებდა სოციალურ შემწეობას და არც სხვა პირის მხრიდან იღებდა მხარდაჭერას. მოწყალების თხოვნა მისთვის იყო შემოსავლის უზრუნველყოფის და სიღარიბის შემსუბუქების საშუალება. მოწყალების თხოვნაზე ბლანკეტური აკრძალვის

დაწესებითა და განმცხადებლისთვის ჯარიმის დაკისრებით, რომელიც გადაუხდელობის შემთხვევაში საპატიმრო სასჯელით შეიცვლებოდა, შვეიცარიის ხელისუფლებამ დააბრკოლა იგი, რომ მას მიემართა სხვა ადამიანებისთვის, რათა მიეღო ისეთი სახის დახმარება, რომელიც, მის მდგომარეობაში, ერთ-ერთი შესაძლო საშუალება იქნებოდა საბაზისო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სხვა ადამიანებისთვის თანადგომისთვის მიმართვის უფლება უკავშირდება მე-8 მუხლით დაცული უფლებების არსს.

დასკვნა: მე-8 მუხლი მოცემულ დავას მიესადაგება.

(b) *არსებითი განხილვა* - განმცხადებლის მიერ მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებით სარგებლობაში ჩარევა სახეზე იყო. ჩარევა განხორციელდა კანონმდებლობის შესაბამისად.

ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მითითებით, ევროპულ სასამართლოს არ გამოურიცხავს, რომ გარკვეული ფორმით მოწყალების მიღებას, განსაკუთრებით კი თუ ის აგრესიული იყო, შესაძლოა, შეეწუხებინა გამვლელები, ადგილობრივი მაცხოვრებლები და მაღაზიების მფლობელები. მან ასევე აღიარა არგუმენტის მართებულობა ინდივიდების, განსაკუთრებით კი ბავშვების ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის მცდელობებთან დაკავშირებით. ამდენად, ერთი შეხედვით, ჩარევა ისახავდა არეულობის პრევენციისა და სხვათა უფლებების დაცვის ლეგიტიმურ მიზნებს.

მოქმედი კანონმდებლობა გამორიცხავდა შეპირისპირებულ ინტერესებს შორის ბალანსის დადგენის საშუალებას და ბლანკეტურად კრძალავდა მოწყალების თხოვნას, მიუხედავად იმისა, ვინ ითხოვდა მოწყალებას, იყო თუ არა ის მოწყვლად მდგომარეობაში, როგორი იყო მოწყალების მიღების ხასიათი და იყო თუ არა ის აგრესიული, მიუხედავად მოწყალების თხოვნის ადგილისა და იმისა, იყო თუ არა პირი კრიმინალური ქსელის წევრი. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მას შეეძლო ღიად დაეტოვებინა კითხვა, მიუხედავად გამოყენებული კანონმდებლობის მკაცრი ხასიათისა, მაინც შესაძლებელი იყო თუ არა, დაცული ყოფილიყო სამართლიანი ბალანსი მოცემულ საქმეში ერთი მხრივ, სახელმწიფოს საჯარო ინტერესებსა და, მეორე მხრივ, განმცხადებლის ინტერესებს შორის. ნებისმიერ შემთხვევაში, მან განმარტა, შემდეგი მიზეზებიდან გამომდინარე, რომ მოპასუხე სახელმწიფომ გადააბიჯა თავისი შეფასების ფარგლებს მოცემულ საქმეში.

ევროპის საბჭოში ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება მოწყალების მიღების აკრძალვის ან შეზღუდვის საკითხთან დაკავშირებით. თუმცაღა, არსებობდა მისი აკრძალვის შემცირებისკენ მიმართული გარკვეული ტენდენცია და სახელმწიფოთა მხრიდან სურვილი, რომ უბრალოდ კონცენტრირება მოეხდინათ საჯარო წესრიგის ეფექტურ დაცვაზე ადმინისტრაციული რესურსების მეშვეობით. ბლანკეტური სისხლისსამართლებრივი აკრძალვა - ისეთი, როგორც არის მოცემული წინამდებარე საქმეში, როგორც აღმოჩნდა იყო გამონაკლისი. განმცხადებლისთვის საკითხის ფუნდამენტურ მნიშვნელობასთან ერთად, ეს იყო მეორე მითითება იმაზე, რომ განსახილველ საქმეში მოპასუხე სახელმწიფოს ენიჭებოდა ვიწრო შეფასების ფარგლები.

რაც შეეხება განმცხადებლის პირად ინტერესს, მონაწილეობა მიეღო სადავო აქტივობაში, მოწყალების მიღება უთანაბრდებოდა მისი გადარჩენის ერთ-ერთ საშუალებას. იმყოფებოდა რა აშკარად მოწყვლად მდგომარეობაში, მას ჰქონდა ადამიანის ღირსებისგან განუყოფელი უფლება, ჰქონოდა საშუალება, განეცხადებინა თავისი სიღარიბის შესახებ და ეცადა თავისი საბაზისო საჭიროებები მოწყალების თხოვნით მიღება.

რაც შეეხება სასჯელის ხასიათსა და სიმძიმეს, საპატიმრო სასჯელი იყო უკიდურესად მკაცრი სანქცია. განმცხადებლის არასტაბილური და მოწყვლადი მდგომარეობის გათვალისწინებით, საპატიმრო სასჯელის დაკისრება, რაც გამოიწვევდა ინდივიდის სტრესისა და მოწყვლადი მდგომარეობის გაუარესებას, იყო თითქმის ავტომატური და გარდაუვალი მოცემულ საქმეში.

ამ სახის ზომა გამართლებული უნდა ყოფილიყო საჯარო ინტერესს მიკუთვნებული საფუძვლიანი მიზეზით, რაც არ იყო სახეზე მოცემულ საქმეში.

ადამიანებით ვაჭრობასა და ბავშვების ექსპლუატაციასთან ბრძოლის მნიშვნელობის და მსხვერპლთა დაცვის შესახებ კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულების გაცნობიერებასთან ერთად, სასამართლომ ეჭვქვეშ დააყენა თუ რამდენად არის ამგვარი ქსელების მსხვერპლთა სისხლისსამართლებრივი დასჯა ეფექტური საშუალება. შვეიცარიასთან მიმართებით 2019 წელს გამოქვეყნებულ თავის მოხსენებაში, ევროპის საბჭოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფმა (Group of Experts on Action against Trafficking in Human Beings, (GRETA)) დაადგინა, რომ მოწყალების თხოვნის კრიმინალიზაციამ გაზრდილი მოწყვლადობის მდგომარეობაში ჩააყენა მსხვერპლები, რომელთაც მოწყალების თხოვნას აიძულებენ. ის აგრეთვე „მოუწოდებდა შვეიცარიის სახელმწიფოს, რომ უზრუნველყოფილიყო კონვენციის 26-ე მუხლთან თანხვედრაში მოსვლა (ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლასთან დაკავშირებით), იმ წესის მიღებით, რომლის თანახმადაც ტრეფიკინგის მსხვერპლნი არ იქნებოდნენ დასჯილნი უკანონო საქმიანობაში მათი მონაწილეობისთვის, იმდენად, რამდენადაც ისინი იძულებულნი იყვნენ ასე მოქცეულიყვნენ…“. ამასთან, ხელისუფლება არ ამტკიცებდა, რომ განმცხადებელი იყო კრიმინალური ქსელის წევრი, ან, რომ ის სხვამხრივ იყო მესამე პირის დასჯადი ქმედებების მსხვერპლი, და მოცემულ საქმეში არაფერი მიანიშნებდა ამგვარი ვარაუდის გაჩენის საფუძველზე.

რაც შეეხება ხელისუფლების საჯარო ინტერესს გამვლელთა, მაცხოვრებლებისა და მაღაზიების მფლობელების უფლებების დასაცავად ზომების მიღების თაობაზე, სახელმწიფოს არ დაუდანაშაულებია განმცხადებელი მოწყალების თხოვნის აგრესიულ ან თავსმოხვეულ ფორმებში; არც პოლიციაში ყოფილა წარდგენილი რაიმე საჩივარი მესამე პირების მხრიდან. ნებისმიერ შემთხვევაში, უკიდურესი სიღარიბისა და ადამიანის უფლებების საკითხზე გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებლის მოსაზრებით, სურვილი, რომ სიღარიბე ქალაქში ნაკლებად იყოს შესამჩნევი და რომ მოიზიდონ ინვესტიცია, არ არის ლეგიტიმური მიზეზი ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან, რის საპირისპიროსაც ამტკიცებდა მოპასუხე სახელმწიფო.

დაბოლოს, სასამართლო ვერ გაიზიარებს ფედერალური სასამართლოს არგუმენტს, რომ ნაკლებად შემზღუდავი ზომებით ვერ მიიღწეოდა მსგავსი შედეგები. ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების უმეტესობამ დააწესა მეტად ზომიერი შეზღუდვები, ვიდრე განსახილველი ბლანკეტური აკრძალვაა. მეტიც, მაშინ როდესაც სახელმწიფოს აქვს შეფასების გარკვეული ფარგლები ამ საკითხზე, მე-8 მუხლთან შესაბამისობაში მოსვლა ეროვნული სასამართლოების მხრიდან საჭიროებდა თითოეულ საქმეში კონკრეტული სიტუაციის სიღრმისეულ შეფასებას.

ზემოთ მოცემულიდან გამომდინარე, განმცხადებლისთვის დაკისრებული სასჯელი არ იყო პროპორციული არც ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიზნებისთვის და არც გამვლელთა, მაცხოვრებლებისა და მაღაზიების მფლობელების უფლებების დაცვის მიზნისთვის. განმცხადებლის, უკიდურესად მოწყვლადი პიროვნების, დასჯამ იმ მდგომარეობაში, როდესაც, დიდი ალბათობით, იგი განიცდიდა არსებობისთვის აუცილებელი სახსრების ნაკლებობას - და ამდენად, არ ჰქონდა სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ ეთხოვა მოწყალება, რათა გადარჩენილიყო - გამოიწვია მისი ადამიანური ღირსების შელახვა და მე-8 მუხლით დაცული უფლებების არსის უგულებელყოფა. შესაბამისად, მოცემულ საქმეში მოპასუხე სახელმწიფო გაცდა მისთვის მინიჭებულ თავისუფალი შეფასების ფარგლებს.

ამდენად, ჩარევა არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად).

41-ე მუხლი: 922 ევრო არამატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით.